


საპროექტო ტერიტორია



**ქ. ახალციხეში ისტორიული ძეგლის „ახალციხის ციხის“ ფერითორიაზე  
ჩატარებული საინიციალო გეოლოგიური კვლევის შედეგები**

თავი II – საკვლევი ტერიტორიის ზოგადი დახასიათება  
(მდებარეობა, გეომორფოლოგია, ზოგადი გეოლოგია,  
კლიმატური პირობები, ჰიდროგეოლოგია)

კომპლექსის განაშენიანებისთვის გამოყოფილი ნაკვეთი მდებარეობს მდ. ფოცხოვის მარცხენა ნაპირზე, შემაღლებულ გორაკზე გაშენებული ქალაქ ახალციხის ძველი ნაწილის, კ. წ. „რაბათის“ ტერიტორიაზე. აქ შემორჩენილია ბევრჯერ გადაკეთებული ციხე, ახალციხის მფლობელთა (ათაბაგების და სხვა) სასახლე, ოსმალების მიერ 1700-იან წლებში აგებული მეჩეთი, სასახლის ტიპის ნაგებობა და სხვა. ციტადელს აკრავს ძველი ტიპის საცხოვრებლები ე.წ. დარბაზები და აბანო, რომელთა კედლებში ჩუქურთმებიანი ქვებია ჩატანებული.

საკვლევი ტერიტორია გეომორფოლოგიურად წარმოადგენს ახალციხის დეპრესიის დასავლეთი ფრთის შემაღლებულ ადგილს, (მესხეთის ქედის აღმოსავლეთი პერიფერია), ბორცვიან-მოვაკებული რელიეფით. საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში რელიეფის დახრაც, ბორცვიან-მოვაკებულ რელიეფთან მიმართებაში, სხვადასხვა (მირითადად სამხრეთული, ლოკალურ უბნებზე აღინიშნება რელიეფის სხვადასხვა მიმართულებით დახრაც).

ციხის გორის დიდი ნაწილის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ ზედა ეოცენის ქვიშაქვები, თიხოვანი გრუნტები ტუფო-ქვიშაქვები, ტუფები, ანდეზიტები, ქალაქის ფარგლებში შემოდის აგრეთვე მესხეთის ქედის ნაწილი, რომელიც აგებულია მესამეული ასაკის ვულკანოგენური წყებებით (ტუფ-ბრექჩიები, ტუფ-ქვიშაქვები, ქვიშაქვები).

რაიონის უმეტეს ნაწილში მთიანეთის სტეპების ჰავაა, ზამთარი ციფი, მცირე თოვლიანი, ზაფხული ხანგრძლივი და თბილი. მოცემულ რაიონში, ნალექები დაბალ ზონაში 520 მმ-ს არ აღემატება წელიწადში. მოსაზღვრე ქედების კალთებზე კი აღწევს 1200 მმ-მდე. ქარების მიმართულება იანვარივლისის ინტერვალში ოთხივე მხრიდანაა.

ქარის საანგარიშო სიჩქარე 20 წლიანი განმეორებადობით 29 გ/წ;

ქარის ჩქაროსნული წნევა 15 წელიწადში ერთხელ 0,48 კპა;

ჰაერის საშუალო მინიმალური ტემპერატურა -9°C;

აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა 39°C;

აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა  $-32^{\circ}\text{C}$ ;  
თოვლის საფარის წონა 0,68 კპა;  
თოვლიან დღეთა რიცხვი წელიწადში 63.  
მონაცემები ქ. ახალციხისთვის აღებულია პნ 01.05-08-დან (სამშენებლო კლიმატოლოგია).

პიდროგეოლოგიური თვალსაზრისით შეიძლება აღინიშნოს: ქ. ახალციხე გაშენებულია მდ. ფოცხოვის ჭალისპირა და ჭალისზედა I ტერასზე. შესაბამისად აქ ტერიტორია ხასიათდება გრუნტის წყლის მაღალი დონეებით. საკვლევი ტერიტორია კი მდებარეობს შემაღლებულ კლდოვან ადგილზე და მიწისქვეშა წყლების გამოსავლები წყაროების ან გამონაურნის სახით, აქ არ აღინიშნება.

### თავი III. – ჩატარებული საინიციატივური გეოლოგიური კვლევის შედებები III<sup>ა</sup> სამშენებლო ტერიტორიის გეოლოგიურ-ლითოლოგიური აბებულება.

ჩატარებული საკვლევი სამუშაოების მონაცემების საფუძველზე შედგენილია მთლიანად კომპლექსისთვის გაბურდული ჭაბურდილების ლითოლოგიური სკეტები და ტერიტორიის განივი და გრძივი გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილები.

ქვემოთ, გეოლოგიურ-ლითოლოგიური დახასიათება მოცემული იქნება თითოეული უბნისთვის ცალ-ცალკე.

#### ა) 06ფრასტრუქტურის შენობა-ნაგებობათა განაშენიანებისთვის გამოყოფილი უბანი.

საკვლევ უბანზე გაბურდულია ჭაბურდილები N<sup>o</sup>1–21, სიღრმით 3,0–9,5 მ-მდე. ჭაბურდილების სკეტები დატანილია გრაფიკული მასალის N<sup>o</sup>2–5 ფურცლებზე.

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, საკვლევ უბანზე, მიწის ზედაპირიდან 0,6–7,3 მ სიღრმემდე. გავრცელებულია კონსოლიდირებული (მკვრივი აგებულების) ტექნოგენური გრუნტი (tQ<sub>IV</sub>) – სამშენებლო ნაგვის, ლოდების, კენჭების, დორდის და თიხოვანი გრუნტის ნარევი (ფენა 1).

ნაყარი გრუნტის მკვრივი აგებულება განპირობებულია მისი ასაკით (დიდი ხნისაა).

ნაყარი გრუნტის ქვეშ, 2,3–8,5 მ სიღრმემდე, გავრცელებულია ორი სახეობის გრუნტი – დელუვიური თიხოვანი და ელუვიური მსხვილნატეხოვანი.

დელუვიური გენეზისის ( $dQ_{IV}$ ) თიხოვანი გრუნტი წარმოდგენილია მყარი კონსისტენციის მუქი ყავისფერი თიხით, ხვინჭის იშვიათი ჩანართებით (ფენა 2). დელუვიური გენეზისის თიხოვანი გრუნტი ლოკალური გავრცელებისაა და აღინიშნა მხოლოდ №1 ჭაბურღილში, სიმძლავრით 1,8 მ.

ელუვიური გენეზისის მსხვილნატეხოვანი გრუნტი [ $eQ(P_2^3)$ ] წარმოდგენილია დორდით და ხვინჭით, თიხოვანი გრუნტის შემავსებლით 20–40%-მდე (ფენა 3) და წარმოადგენს ძირითადი ქანების გამოფიტვის ქერქის დორდულ ზონას.

ელუვიური მსხვილნატეხოვანი გრუნტის სიმძლავრე ცვალებადია და 0,3–1,5 მ-ის ფარგლებშია.

აღწერილი ფენების ქვეშ გავრცელებულია ზედა ეოცენის ( $P_2^3$ ) ძირითადი ქანების ორი სახეობა: თიხა ფიქლებრივი (ფენა 4) და უხეშმარცვლოვანი ქვიშაქვა თიხოვან-კარბონატული ცემენტით, გამოფიტული (ფენა 5). ფიქლებრივი თიხა (ფენა 4) დაფიქსირდა უბნის ჩრდილოეთ ნაწილში, ჭაბ. №№1, 7 და 9-ში. მისი სიმძლავრე 1,7–3,7 მ-მდეა.

აღსანიშნავია, რომ ძირითადი ქანები – ქვიშაქვები წარმოდგენილია მასიური სახით, დაშრევების გარეშე, რის გამოც წოლის ელემენტების განსაზღვრა შეუძლებელია.

## ბ) სასტუმროს უბანი

უბანზე გაიძურდა ჭაბ. №№22–29, სიღრმით 2,0–7,0 მ-მდე (ფენა №№6 და 7).

გრაფიკული მასალიდან ჩანს, რომ სასტუმროს უბანზე გავრცელებულია ზემოთ ჩამოთვლილი გრუნტების 3 სახეობა: 0,5–5,1 მ სიმძლავრის ფენა 1-ის ტექნოგენური გრუნტი, 0,5 მ სიმძლავრის ფენა 3-ის ელუვიური მსხვილნატეხოვანი გრუნტი. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი დაფიქსირდა მხოლოდ ჭაბ. №26-ში, რომლის ქვეშ და მთლიანად სასტუმროს უბანზე ტექნოგენური გრუნტის ქვეშ, მიწის ზედაპირიდან 0,50–5,10 მ სიღრმიდან, გავრცელებულია ფენა 5-ის ძირითადი ქანები.

## ბ) ამზოთეატრის უბანი

უბანზე გაიბურდა ჭაბურლილები №№30–36, სიღრმით 2,0–3,0 მ-მდე. 0,30–1,4 მ სისქის ფენა 1-ის ტექნოგენური გრუნტის ქვეშ გავრცელებულია ფენა 5-ის ძირითადი ქანები (ქვიშაქვები).

როგორც აღინიშნა ზემოთ, ჩამოთვლილ უბნებზე გრუნტის წყალი არ არის გავრცელებული გამოკვლეულ სიღრმემდე. არ არის მოსალოდნელი მისი გამოვლინება შედარებით დრომადაც.

## დ) ციტადელი (ციხე)

ისტორიული ძეგლი დაფუძნებულია ძირითად კლდოვან გრუნტზე – ქვიშაქვებზე, რომლებიც თითქმის მიწის ზედაპირიდანვეა გავრცელებული. საძირკვლები და კედლები ერთი და იგივეა – ქვითკირის წყობა. საძირკვლები მცირე სიღრმეზეა (0,20–0,40 მ), ჩაღრმავებული კლდოვან გრუნტში, რომელიც ეროზიული ზედაპირიდან გამოფიტული და დანაპრალიანებულია.

ციტადელის კედლებზე და საძირკველზე შეინიშნება უმნიშვნელო, სხვადასხვა მიმართულების ბზარები.

## 0ავ0 IV. – ბრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედებები

როგორც შესავალში იყო აღნიშნული საკვლევ ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტებიდან აღებული და ლაბორატორიულად შესწავლილია 15 ნიმუში. მათ შორის 9 თიხოვანი და 6 კლდოვანი ქანებიდან.

ნიმუშებზე განისაზღვრა ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები.

ლაბორატორიული კვლევის შედეგები ერთვის დასკვნას. თიხოვანი გრუნტის კვლევის მასალები წარმოდგენილია კრებსითი ცხრილის სახით, აგრეთვე კომპრესიული და ძვრაზე გამოცდების გრაფიკების სახით.

ძირითადი ქანების გამოცდების შედეგები, ცხრილების სახით ინახება განკოფილებაში, ხოლო მახასიათებლების მნიშვნელობები შეტანილია წინამდებარე დასკვნის ცხრილში.

ქვემოთ, ცხრილ 1-ში მოცემულია თიხოვანი გრუნტის (ფენა 4) ძირითადი ფიზიკური მახასიათებლების მნიშვნელობების ცვალებადობის დიაპაზონი და მისი საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები. ფენა 2-ის თიხოვანი გრუნტი მხოლოდ ერთ ჭაბურღლილშია (№1), სიმდლავრით 1,80 მ, რომლიდანაც აღებულია ერთი ნიმუში. აღნიშნულის გამო მისი მახასიათებლები ცხრილში არ არის შეტანილი და დახასიათება მოცემულია ცალკე.

ცხრილი 1

№	ვიზიკური მახასიათებლები		განტ.	მიღებულ სიდიდეთა დიაპაზონი	საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა
1	პლასტიკურობის რიცხვი	$I_p$	-	0,22 – 0,24	0,23
2	ტენიანობა	W	%	16,5 – 21,7	19,5
სიმკვრივე	გრუნტის	$\rho$	$\text{გ/სმ}^3$	1,88 – 1,99	1,93
	მშრალი გრუნტის	$\rho_d$		1,54 – 1,71	1,61
	გრუნტის ნაწილაკების	$\rho_s$		2,73	2,73
4	ფორიანობა	n	%	37,4 – 43,4	40,9
5	ფორიანობის კოეფიციენტი	e	-	0,598 – 0,767	0,694
6	დენადობის მაჩვენებელი	$I_L$	-	0 და უარყოფითი	უარყოფითი
7	ტენიანობის ხარისხი	$S_r$	-	0,74 – 0,79	0,77

ცხრილში მოცემული პლასტიკურობის რიცხვის მიხედვით ( $\overline{I_p}=0,23$ ), შესწავლილი გრუნტი თიხაა, რომლის კონსისტენცია მყარია ( $\overline{I_L}$  უარყოფითია). ტენიანობის ხარისხის მიხედვით, თიხა არ არის სრულიად წყალგაჯერებული, ვინაიდან ტენიანობის ხარისხის მნიშვნელობა ნაკლებია კრიტერიუმ  $0,80$ -ზე ( $\overline{S_r}=0,77$ ), თუმცა მიღებული მონაცემები ახლოა აღნიშნულ კრიტერიუმთან.

დასკვნასთან დართული კრებსითი ცხრილის თანახმად, ფენა 2-ის გრუნტია თიხა (Ip=0,19), ბუნებრივი ტენიანობა W=16,5%, გრუნტის სიმკვრივე  $\rho=1,98$  გ/სმ $^3$ , მშრალი გრუნტის სიმკვრივე  $\rho_d=1,70$  გ/სმ $^3$  გრუნტის ნაწილაკების სიმკვრივე  $\rho_s=2,73$  გ/სმ $^3$ , ფორიანობა n=40,9%, დენადობის მაჩვენებელი

უარყოფითია (-0,09), ტენიანობის ხარისხი  $Sr=0,73$ . ამ უკანასკნელის მიხედვით ამ გრუნტის ფორმებიც არ არის სრულად შევსებული წყლით.

ზემოთ მოცემული თიხოვანი გრუნტების (ფენები 2 და 4) ფიზიკური პარამეტრების მნიშვნელობები (ფენა 4-სთვის საშუალო-ნორმატიული), საჭიროებისას, გამოიყენება საანგარიშო მნიშვნელობებად.

გამონაკლისს წარმოადგენს გრუნტის სიმკვრივე, ვინაიდან იგი შედის ფუძის გაანგარიშების ფორმულაში, საანგარიშო მნიშვნელობების მისაღებად ჩატარდა ლაბორატორიულად მიღებული მნიშვნელობების სტატისტიკური დამუშავება, სტანდარტი 20522-76-ში მოცემული მეთოდიკით და მიღებულია ამ მახასიათებლის საანგარიშო მნიშვნელობები. მასალები ერთვის დასკვნას დანართი 1-ის სახით, ხოლო მიღებული მნიშვნელობები მოცემულია დასკვნითი ნაწილის ცხრილში.

ფენა 4-ის თიხებისათვის ჩატარდა 6 და ფენა 1-სათვის 1 კომპრესიული გამოცდა, ბუნებრივი სიმკვრივის და ტენიანობის ნიმუშებზე,  $0,5 \text{ კგ/სმ}^2$  დატვირთვის საფეხურებით,  $4,0 \text{ კგ/სმ}^2$  -მდე აყვანით.  $2,0 \text{ კგ/სმ}^2$  დატვირთვისას გრუნტს მიეწოდა წყალი, ჯდომადი ან ჯირჯვადი თვისებების დასაღებად.

ფენა 4-ის თიხის მაჩვენებელ  $I_{ss}$ -ის მნიშვნელობა, 7-დან 3 შემთხვევაში ტოლია ან მეტია კრიტერიუმ  $0,30$ -ზე ( $I_{ss}=0,30-0,33$ ), რაც მიანიშნებს გრუნტის ჯირჯვად თვისებაზე. დანარჩენ 4 შემთხვევაში  $I_{ss}$ -ის მნიშვნელობა ნაკლებია, მაგრამ ახლოა კრიტერიუმ  $0,30$ -თან ( $I_{ss}=0,260-0,28$ ). აღნიშნულიდან გამომდინარე, წინასწარი შეფასებით, გრუნტი შეიძლება ჩაითვალოს გაჯირჯვებადად.

ქვემოთ ცხრილ 2-ში შეტანილია ფენა 4-ის გრუნტის ჯდენის მოდულის მნიშვნელობები  $P=3,0 \text{ კგ/სმ}^2$  დატვირთვაზე (დატვირთვა რომლის დროსაც ფასდება გრუნტის კუმულაციის სიმძლავი) და დეფორმაციის მოდულის (თავისუფალი) მნიშვნელობები,  $1-2 \text{ კგ/სმ}^2$  დატვირთვების დიაპაზონში:

## ცხრილი 2

№	ჰაბურ-ლილის №	ნიმუშების აღების სიღრმე, h მ	ბრაზონის №	ჯდენის მოდული $\ell p$ მმ/მ $P=3,0 \text{ კგ/სმ}^2$	დეფორმაციის მოდული E კგ/სმ $^2$ $P=1-2 \text{ კგ/სმ}^2$
1	ჭაბ. №1	6,0	2	28	$\frac{200 + 300 + 400}{300}$
2	ჭაბ. №2	2,5	3	21	$\frac{240 + 400 + 400}{347}$

3	ჭაბ. №7	3,5	4	27	$\frac{240 + 300 + 400}{313}$
4	ჭაბ. №9	2,0	5	24	$\frac{240 + 400 + 400}{347}$
5	ჭაბ. №9	3,0	6	29	$\frac{200 + 300 + 400}{300}$
6	ჭაბ. №9	4,5	7	19	$\frac{300 + 400 + 400}{367}$
საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები				25	329

ფენა 1-ის ჯდენის მოდული 3,0 კგძ/სმ<sup>2</sup> დატვირთვაზე  $\overline{\ell}_{p3.0} = 25$  მმ/გ, და ამ მაჩვენებლით მომეტებულად კუმშვადის კატეგორიას მიეკუთვნება (20–60 მმ/გ-ის დიაპაზონშია).

დეფორმაციის თავისუფალი მოდულის მნიშვნელობა  $\overline{E} = 329$  კგძ/სმ<sup>2</sup>.  
ჯდენის და დეფორმაციული მოდულის საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები გამოიყენება საანგარიშოდ.

თიხოვანი გრუნტი ავლენს ჯირჯვად თვისებებს.  
ქვემოთ, საილუსტრაციოდ, ცხრ. 3-ში შეტანილია ჯირჯვადობის მახასიათებლები:

## ცხრილი 2

N <sup>o</sup>	ჭაბ. №1	ნიმუშის აღების სიღრმე h მ	თავისუფალი გაჯირჯვება ε <sub>sw</sub>	თავისუფალი გაჯირჯვების ტენიანობა W <sub>sw</sub> %	გაჯირჯვების წნევა P <sub>sw</sub> მპა	გაჯირჯვების ტენიანობა W <sub>PSW</sub> % P <sub>sw</sub> წნევისას
1	ჭაბ. №1	6,0	0,072	22,8	0,18	25,9
2	ჭაბ. №2	2,50	0,070	23,5	0,17	26,3
3	ჭაბ. №7	3,5	0,065	24,1	0,15	27,7
4	ჭაბ. №9	2,0	0,062	25,4	0,15	28,6
5	ჭაბ. №9	3,0	0,071	23,2	0,16	28,1
6	ჭაბ. №9	4,5	0,078	22,2	0,18	26,6

საშუალო მნიშვნელობები	0,070	23,5	0,17	27,2
-----------------------	-------	------	------	------

ცხრილში მოცემული თავისუფალი გაჯირჯვების მიხედვით ( $\varepsilon_{sw}$ ), გრუნტი მიეკუთვნება სუსტად გაჯირჯვებადის პატეგორიას, გინაიდან საშუალო მნიშვნელობა  $0,04 \leq \varepsilon_{sw} \leq 0,08$  დიაპაზონშია.

გაჯირჯვების წნევა დატვირთვის გარეშე  $P_{sw}=0,17$  მპა (1,7 კგ/სმ<sup>2</sup>).

თავისუფალი გაჯირჯვების ტენიანობა  $W_{sw}=23,5\%$ . იგივე მახასიათებელი შესაბამისი წნევის პირობებში  $W_{PSW}=27,2\%$ .

ფენა 1-ის თიხისათვის იგივე მახასიათებლები შემდეგია:  $\varepsilon_{sw}=0,045$ ,  $P_{sw}=0,14$  (1,4),  $W_{sw}=23,4\%$ ,  $W_{PSW}=27,5\%$ .

შესრულდა ფენა 4-ის თიხოვანი გრუნტის 6 ძვრაზე გამოცდა, ბუნებრივი სიმკვრივის და ტენიანობის ნიმუშებისთვის  $P=1,0-2,0-3,0$  კგ/სმ<sup>2</sup> ვერტიკალურ დატვირთვებზე. ცდის შედეგები ასახულია შესაბამის გრაფიკებზე (№№8–13). მიღებულია შემდეგი მნიშვნელობები:

ხვედრითი შეჭიდულობა  $c=44-64$  კპა ( $0,44 - 0,64$  კგ/სმ<sup>2</sup>);

შინაგანი ხახუნის კუთხე  $\varphi=17 - 22^\circ$  ( $\bar{\varphi}=19,6^\circ$ ).

სიმტკიცის მახასიათებლების ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობების მისაღებად, შესრულდა ცდებით მიღებული მნიშვნელობების სტატისტიკური დამუშავება, სტანდარტი 20522–75-ში მოცემული მეთოდიკით.

სტატისტიკური დამუშავების მასალები ერთვის დასკვნას დანართი 2-ის სახით, ხოლო მიღებული მნიშვნელობები მოცემულია დასკვნითი ნაწილის ცხრილში.

საკვლევ ტერიტორიაზე გაგრცელებული ძირითადი ქანების – ქვიშაქვების (ფენა 5) ლაბორატორიული გამოცდების მონაცემების მიხედვით შედგენილია ცხრ. №3.

### ცხრილი 3

№	გრუნტის სახეობა	ნიმუშის აღების ადგილი	ნიმუშების აღების სიღრმე h მ	სიმპროცე ბ/სმ <sup>3</sup>	სიმტკიცის ზღვარი ერთლერბა კუმულაცია R <sub>c</sub> მაა რალგაჯერვაულ მდგრადი
1	ქვიშაქვა	ჭაბ. №2	2,5	2,35	44,4
2		ჭაბ. №3	4,0	2,30	13,7

3		ჭაბ. №7	4,5	2,33	23,1
4		ჭაბ. №14	3,5	2,32	37,0
5		ჭაბ. №18	3,0	2,30	31,7
6		გაშიშვლება	-	2,31	23,1
7	საშუალო მნიშვნელობები			2,32	28,8

როგორც ცხრილიდან ჩანს, შესწავლილი ქვიშაქვების სიმტკიცის ზღვრის საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა პნ 02.01 – 08 დანართი 1 ცხრ. 1-ის მიხედვით, ძირითადად 15000–50000 კპა-ს დიაპაზონშია და მიეკუთვნება საშუალო სიმტკიცის კლდოვან გრუნტს (გამონაკლისია ნიმუში რიგითი ნომრით 2). აქვე შევნიშნავთ, რომ დაბალსართულიანი შენობა – ნაგებობების საძირკვლებიდან გადაცემული დატვირთვებით კლდოვანი გრუნტის სიმტკიცე უმნიშვნელოდ რეალიზდება და პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს.

ციტადელის კლდოვანი ფუძიდან აღებული ნიმუშის სიმტკიცის ზღვარი წყალგაჯერებულ მდგომარეობაში შეადგენს 23,1 მპა (231 კგ/სმ<sup>2</sup>) და მისი მზიდუნარიანობა ვერტიკალური დატვირთვისას ეჭვს არ იწვევს, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ლაბორატორიული გამოცდები სრულდება მცირე ზომის ნიმუშებზე და სრულად არ ასახავს იმ რეალობას, რაც კლდოვან ქანს გააჩნია ბუნებრივი წოლის პირობებში (ციტადელის უბანზე ძირითადი ქანი დანაპრალიანებულ-დანაწევრებულია და წარმოდგენილია ცალკეული მსხვილი ბლოკების სახით).

## თავი V. დასკვნები და რეკომენდაციები

ჩატარებული სამუშაოების მონაცემების მიხედვით, შეიძლება აღინიშნოს:

1. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, საკვლევი ტერიტორია არ ხასიათდება არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენებით (მეწყერი, კარსტი, ჩამოქცევა, გრუნტის ჯდენა და სხვა) და არც მომავალშია მოსალოდნელი.

სხ და წ 1.02.07-87-ის მე-10 დანართის თანახმად, საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, კომპლექსის განაშენიანებისთვის გამოყოფილი ტერიტორია მთლიანობაში

მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო სირთულის), თუმცა ცალკეული შენობა-ნაგებობების (კონკრეტული) განთავსების უბნები შეიძლება დახასიათდეს, როგორც მარტივი.

2. საგვლევ ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტები, სამშენებლო თვისებების მხრივ წარმოადგენენ დამოუკიდებელ საინუინრო გეოლოგიურ ელემენტებს (**სბმ**):

- I სბმ – ტექნოგენური გრუნტი (ფენა 1);
- II სბმ – დელუვიური თიხა (ფენა 2);
- III სბმ – ელუვიური მსხვილნატეხოვანი გრუნტი (ფენა 3);
- IV სბმ – ძირითადი, ფიქლებრივი თიხა (ფენა 4);
- V სბმ – ძირითადი ქანი – ქვიშაქვა, თიხოვან-კარბონატულ ცემენტზე (ფენა 5), შედარებით გამოფიტული 0,30 მ-მდე ზონის მოხსნის შემდეგ.

3. ტერიტორიის გეოლოგიური აგებულებიდან და დასაპროექტებელი შენობა-ნაგებობების ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, ფუძე გრუნტად შეიძლება გამოყენებული იქნეს ყველა **სბმ-ს** გრუნტი.

საძირკვლების კონსტრუქციად მიიღება ჩვეულებრივი – ლენტური (ჯვარედინი ლენტური), ცალკემდგომი.

I სბმ-ს კონსოლიდირებულ, მკვრივ ნაყარზე დაფუძნებისას, მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს 0,5 მ-მდე სიმძლავრის, ფენობრივად მოტკეპნილი (0,20–0,25) ხრეშ-კენჭნარის ან ლორდის ბალიში.

4. ფუძის გაანგარიშებისთვის, ქვემოთ, ცხრილ 4-ში მოცემულია გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები, ლაბორატორიული გამოკვლევების, პნ 02.01–08 დანართი 3 ცხრილ 1, 3 და 5 საფუძველზე. ყველა **სბმ-ს** გრუნტისთვის საგების და პუასონის კოეფიციენტების რიცხვითი მნიშვნელობები აღებულია დამპროექტებლის საანგარიშო-თეორიული ცნობარიდან.

ცხრილი 3

№ №	ბრუნტების მახასიათებლები	საანგარიშო მნიშვნელობები	I სბმ (ფენა 1)	II სბმ (ფენა 2)	III სბმ (ფენა 3)	IV სბმ (ფენა 4)	V სბმ (ფენა 5)
1	სიმკვრივე, ρ გძ/სმ <sup>3</sup>	II ზღვრული მდგო- მარეობა (ფუძის გაანგარიშება დეფორმაციაზე)	$\frac{\rho_{\parallel}^1}{\rho_{\parallel}^2}$	–	–	$\frac{1.94}{1.92}$	2,32

		I ზღვრული მდგო- მარეობა (ფუძის გაანგარიშება მზი- დუნარიანობაზე)	$\frac{\rho_{\perp}^1}{\rho_{\parallel}^2}$	—	—	—	—	1.95 1.91	
		ნორმატიული მნიშვნელობა		1,85	1,98	1,95	1,93		
2	შინაგანი ხახუნის კუთხე, $\varphi^o$	II ზღვრული მდგომარეობა	$\varphi_{\parallel}$	—	—		18		
		I ზღვრული მდგო- მარეობა	$\varphi_{\perp}$	—	—		17		—
		ნორმატიული მნიშვნელობა		—	20	38	20		
3	ხეედრითი შეჭიდუ- ლობა, $c$ $\text{კმ}(\text{კგძ/სმ}^2)$	II ზღვრული მდგომარეობა	$c_{\parallel}$	—	—	—	43		
		I ზღვრული მდგო- მარეობა	$c_{\perp}$		—	—	39		—
		ნორმატიული მნიშვნელობა			68 (0,68)	10 (0,10)	50 (0,5)		
4	დეფორმაციის მოდული, $E$ $\text{კვა} (\text{კგძ/სმ}^2)$			10 (100)	25 (250)	50 (500)	33 (330)		—
5	პირობითი საანგარიშო წინაღობა $R_0$ $\text{კმ} (\text{კგძ/სმ}^2)$			150 (1,5)	300 (3,0)	500 (5,0)	400 (4,0)		—
6	გაჯირჯვების წნევა $P_{sw}$ , $\text{მვა} (\text{კგძ/სმ}^2)$			—	0,14 (1,4)	—	0,17 (1,7)		—
7	ფარდობითი გაჯირჯვება, $\varepsilon_{sw}$			—	0,045	—	0,070		—
8	ჯირჯვადი ფენის სიმძლავრე, $H_{sw}$ , $\vartheta$			—	1,8	—	2,5		—
9	სიმტკიცის ზღვარი ერთდერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში, $R_c$ $\text{კმ} (\text{კგძ/სმ}^2)$			—	—	—	—	28800 (288)	
10	საგების კოეფიციენტი, $k$ $\text{კგ/სმ}^3$			1,5	4,0	8,0	8,0	100,0	
11	პუასონის კოეფიციენტი, $\mu$			0,30	0,42	0,27	0,42	0,20	

5. ვინაიდან თიხოვანი გრუნტები გაჯირჯვებადია, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მშენებლობის საწყის ეტაპზე, ფუძე-გრუნტზე გადაცემული მინიმალური დატვირთვის პირობებში, გრუნტის გაჯირჯვება დასველებისას (ატმოსფერული ნალექების მოსვლისას) ადგილად რეალიზდება, რაც ნებატიურად აისახება არასრულად დაუტვირთავ საძირკვლებზე (შეიძლება გამოიწვიოს ცალკეული საძირკვლების დაბზარვა და აწვა ლოკალური მონაკვეთების დასველების ინტენსივობიდან გამოდინარე). აღნიშნულის გათვალისწინებით, შენობა-ნაგებობების მშენებლობა უნდა განხორციელდეს უმოკლეს ვადაში.

6. მშენებლობის დამთავრების შემდეგ უნდა შესრულდეს წყალდამცავი ღონისძიებები, თიხოვანი ფუძე-გრუნტის ატმოსფერული წყლებისგან დასაცავად. ამ მიზნით სრულდება ტერიტორიის ისეთი ვერტიკალური გეგმარება, რომელიც უზრუნველყოფს წყლების ორგანიზებულ შეკრებას და ჩაშვებას დია ან დახურულ სანიაღვრე ქსელში. უნდა გათვალისწინდეს შენობების ირგვლივ შემონაკირწყლის მოწყობა.
7. ნულოვანი ციკლის დასრულების შემდეგ, საძირკვლებსა და ქვაბულის ფერდოებს შორის დარჩენილი უბე უნდა შეივსოს წყალგაუმტარი თიხოვანი გრუნტით (შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ქვაბულიდან ამოდებული გრუნტიც) და მოიტკეპნოს.
8. პნ 01.01-09 („სეისმომედეგი მშენებლობა“) თანახმად, ქ. ახალციხე მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას.  
ამავე ნორმატიული დოკუმენტის ცხრილი 1-ის თანახმად, ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტები, სეისმური თვისებების მიხედვით, მიეკუთვნებიან:  
 а) ნაყარი (ფენა 1) – III კატეგორიას;  
 ბ) დანარჩენი ფენები (ფენები 2 – 5) – II კატეგორიას.
9. გრუნტების სეზონური ჩაყინვის ნორმატიული სიღრმე ქ. ახალციხისთვის შეადგენს 0,59 მ-ს.
10. ქვაბულის ან თხრილების ფერდოების მაქსიმალური დასაშვები დახრა, მიღებული იქნეს სხ და წ 3.02.01-87-ის 3.11 და 3.15 პუნქტების და სხ და წ წ 3.4–80-ის მე-9 თავის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
11. დამუშავების სიძნელის მიხედვით, ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტები, სხ და წ 4–2–82 I–I ცხრილის თანახმად, მიეკუთვნებიან:  
 а) ნაყარი (ფენა 1) – სამივე სახეობით (ერთციცხვიანი ექსკავატორი, ბულდოზერით და ხელით) დამუშავებისას – III ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1850 კგ/მ<sup>3</sup> (რიგ. №24<sup>3</sup>);  
 ბ) თიხები (ფენები 1 და 4) – ერთციცხვიანი ექსკავატორით და ხელით დამუშავებისას – IV ჯგუფს, ბულდოზერით – III ჯგუფს, სიმკვრივით 1950 (რიგ. №8<sup>3</sup>);

- გ) მსხვილნატეოვანი გრუნტი (ფენა 3) – ექსკავატორით  
დამუშავებისას – II ჯგუფს, ბულდოზერით და ხელით – III  
ჯგუფს, სიმკვრივით 1950 (რიგ. №6<sup>3</sup>);
- დ) ძირითადი ქანი (ფენა 5) – ხელით დამუშავებისას – VI ჯგუფს,  
სიმკვრივით 2320 კგ/მ<sup>3</sup> (რიგ. №28<sup>3</sup>).
12. ციტადელის დანაპრალიანებული ზონის ძირითადი ქანისთვის  
(კლდოვანი ფუძე) შეიძლება რეკომენდებული იქნეს ნაპრალების  
ცემენტაცია (არაგაფართოებადი ბეტონით), რაც მიღებული პრაქტიკაა  
და წარმატებით გამოიყენება კლდოვანი ფუძის გასამაგრებლად.

ინჟინერ-გეოლოგი

გ. ზაგაშვილი

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების  
განყოფილების მთავარი გეოლოგი

ზ. კვაჭანტირაძე